

## კატის გაზრდილი ლომი

ერთი კატა დაიარებოდა. ნახა, ერთი ძუ ლომი მომკვდარა და ერთი ლეკვი დარჩომია. წაიყვანა და ზრდა დაუწყო. რა გაიზარდა და დიდი შეიქმნა, აიწყო ნადირობა და ნადირის ჭამა.

დღესა ერთსა ნადირი ველარ იშოვნა, თავისი გამზრდელი კატა შესაჭმელად მოინდომა. კატამ რა შეიტყო, გაექცა და ხეზე გავიდა. ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა: ჩემო დედის უსაყვარლესო და ჩემო დამარჩენელო გამზრდელო, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო.

კატამ უპასუხა: ეს ჩემთვის შევინახე: რა ასრე გამიჭირდებოდა, მომხმარებოდაო.

- მე ჩემი ცოდნა, თუ რამ ვიცოდი, შენ გასწავლე და ჩემთვის აღარა შევინახე რა, აწ არ ვიცი, ხელთა გყევარ და ბევრს ავსაც მიზამ.

თქვა ვაზირმან არაკი: